კარალეთში N 2 საბავშვო ბაგა-ბაღი გაიხსნა

13 ივნისი 2017

შიდა ქართლის გუბერნეტორის მოადგილემ, ნოდარ მეტრეველმა და გორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, დავით ონიაშვილმა სოფელ კარალეთში N 2 საბავშვო ბაგა-ბაღი გახსნეს. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მასწავლებლებსა და აღსაზრდელებს საბავშვო ბაღის გახსნა მიულოცეს და საჩუქრები გადასცეს. შენობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისადაა მოწყობილი და აღჭურვილი. ამ ეტაპზე ბაღში სამი ჯგუფია შექმნილი, სადაც 65 ბავშვი ისწავლის, სექტემბრისთვის ბავშვების რაოდენობა გაიზრდება, ბაგა-ბაღი 120 ბავშვზეა გათვლილი.